საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოგა კიკილაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის

არჩილ კოჭლამაზაშვილის
კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

„საბჭოს“ 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობა'ხე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 05 თებერვლის №1/14 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში დარეგისტრირდა არჩილ კოჭლამაზაშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა „კანდიდატის საჯარო მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 15 აპრილს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/37 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი: არჩილ კოჭლამაზაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს ღია სხდომაზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე კანდიდატთა საჯარო მოსმენის შედეგების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3

პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ჩემ მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატი შეფასებულია 89 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 89%-ს შეადგენს.

საჯარო მოსმენის ფორმატში კანდიდატმა გამოავლინა კანონმდებლობის, ასევე ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა და მოსამართლისთვის საჭირო უნარები.

კანდიდატმა საერთო რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად.

გოგა კიკილაშვილი ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

24 / 04 / 2025